ცნობიერების ამაღლების მიზნით განხორციელებული ღონისძიებები

IV კვარტალი, 2022

საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს სტრატეგიული კომუნიკაციების დეპარტამენტი

ორგანიზებული დანაშაულის წინააღმდეგ ბრძოლა

- შინაგან საქმეთა სამინისტროსთვის (შემდგომში - სამინისტრო) მნიშვნელოვანი ამოცანაა დანაშაულთან ბრძოლის ეფექტიანი მექანიზმების შემუშავება და ქვეყანაში უსაფრთხო გარემოს უზრუნველყოფა. სამინისტროს სტრატეგიული კომუნიკაციების დეპარტამენტის მთავარ მიზანს წარმოადგენს საზოგადოებისთვის სწორი ინფორმაციის მიწოდება პოლიციის საქმიანობის შესახებ. ამისათვის, სამინისტროს ოფიციალურ პლატფორმებსა და სამინისტროს ცენტრალური კრიმინალური პოლიციის დეპარტამენტის „Facebook"-გვერდზე რეგულარულად ქვეყნდება ინფორმაცია ორგანიზებული დანაშაულის წინააღმდეგ ბრძოლის მიმართულებით განხორციელებული აქტივობებისა და მიღწეული შედეგების შესახებ.

  2022 წლის IV კვარტალში გაგრძელდა ღონისძიებები, რომლებიც ორგანიზებული დანაშაულის წინააღმდეგ ბრძოლის კუთხით ცნობიერების ამაღლებას ემსახურება.

  ორგანიზებული დანაშაულის წინააღმდეგ ბრძოლის კამპანია ხორციელდება ოთხი მიმართულებით: კიბერდანაშაული, კრიმინალური მენტალიტეტის წინააღმდეგ ბრძოლა, ტრეფიკინგი და ნარკოდანაშაული.

  2022 წლის 26 ოქტომბერს, ტელეკომპანიის „რუსთავი 2" გადაცემას „შუადღე", ხოლო 31 ოქტომბერს - საზოგადოებრივი მაუწყებლის გადაცემას „ახალი დღე" ეწვივნენ სამინისტროს ცენტრალური კრიმინალური პოლიციის დეპარტამენტის წარმომადგენლები. სადაც ისაუბრეს, როგორ დავიცვათ ჩვენი ელექტრონული მონაცემები, კიბერუსაფრთხოებასა და კიბერდანაშაულზე.

ეთერებში ასევე გაჟღერდა რეკომენდაციები, თუ როგორ დავიცვათ თავი ინტერნეტთაღლითობისგან.

2022 წლის 20 დეკემბერს, სამინისტროში გამართულ ბრიფინგზე საზოგადოებას ეცნობა, რომ მთელი ქვეყნის მასშტაბით ჩატარებული ოპერატიული ღონისძიებებისა და საგამოძიებო მოქმედებების შედეგად, ნარკოდანაშაულის ბრალდებით დაკავებულ იქნა 62 პირი, მათ შორის 46 ნარკორეალიზატორი.

სამინისტროსთვის კვლავ ერთ-ერთ მთავარ პრიორიტეტად რჩება ნარკოდანაშაულთან ეფექტიანი ბრძოლა და ნარკორეალიზატორების მიმართ კანონით გათვალისწინებული ზომების გატარება.

2022 წელს, ქვეყნის მასშტაბით, სულ 204 ნარკორეალიზატორი იქნა დაკავებული. აღნიშნული ინფორმაცია პირდაპირ ეთერში გაშუქდა სატელევიზიო არხების მიერ, ასევე, ინფორმაცია განთავსდა სამინისტროს ოფიციალურ „Facebook"-გვერდსა და ვებგვერდებზე.

2022 წლის ოქტომბრის დასაწყისიდან - დეკემბრის ბოლომდე, **კამპანიის „ემეგობრე პოლიციას"** ფარგლებში, მთელი საქართველოს მასშტაბით სკოლებში ჩატარებული შეხვედრების ერთ-ერთი ძირითადი სასაუბრო თემას წარმოადგენდა ორგანიზებული დანაშაულის შესახებ ცნობიერების ამაღლება. სამინისტროს შესაბამისი დანაყოფების წარმომადგენლებმა შეხვედრებზე მოსწავლეებს, საუბრის პარალელურად, ორგანიზებულ დანაშაულთან ბრძოლის თემაზე გადაღებული ვიდეორგოლები უჩვენეს.

„პოლიციის ფაილები"

- 2022 წელს გაგრძელდა კრიმინალური დოკუმენტური სერიალის - „პოლიციის ფაილები" გადაღება და ეთერში განთავსება. დოკუმენტური სერიალი - ,,პოლიციის ფაილები" მიზნად ისახავს საზოგადოების ცნობიერების ამაღლებას და პოლიციის მიმართ მოსახლეობის ნდობის გაზრდას, რეალური შემთხვევების ჩვენებითა და პოლიციის საქმიანობის დეტალების გაცნობის გზით. 2022 წლის IV კვარტალში გადაღებულ და ეთერში გაშვებულ იქნა ,,პოლიციის ფაილების" მე-5 სეზონის 7 სერია. აღნიშნული სერიები გაშუქდა „რუსთავი-2" -ის სატელევიზიო ეთერში და განთავსდა სამინისტროს ოფიციალურ არხებზე. აღნიშნული სერიები მიეძღვნა გახმაურებულ

კრიმინალურ საქმეებს. ,,პოლიციის ფაილების“ მე-5 სეზონის ბოლო სერია წარმოადგენდა შემაჯამებელ ფილმს, 2022 წელს სამინისტროს მიერ სხვადასხვა მიმართულებით (კრიმინალთან ბრძოლა, ორგანიზებულ დანაშაულთან ბრძოლა, საგზაო მოძრაობის უსაფრთხოება, საზღვრის ეფექტიანი მართვა, საერთაშორისო თანამშრომლობა, ადამიანის უფლებები, საკანონმდებლო ცვლილებები და სხვ.) განხორციელებული საქმიანობის შესახებ.

აღსანიშნავია, რომ ,,პოლიციის ფაილების“ მე-5 სეზონმა მაყურებელთა მხრიდან განსაკუთრებით მაღალი ინტერესი დაიმსახურა, რაც დასტურდება სატელევიზიო რეიტინგებითა და სამინისტროს ოფიციალური არხების სტატისტიკით.

<u>საზოგადოებაზე ორიენტირებული საპოლიციო სისტემა</u>

- საზოგადოებრივი უსაფრთხოებისა და მოქალაქეთა დაცულობის ხარისხის გაუმჯობესების მიზნით, სამინისტროში გრძელდება საზოგადოებაზე ორიენტირებული საპოლიციო საქმიანობის პროექტი. 2022 წელს მართლწესრიგის ოფიცრის ინსტიტუტმა ქ. თბილისის ყველა რაიონი მოიცვა. ამ ეტაპზე, ქ. თბილისის მასშტაბით, 350-მდე მართლწესრიგის ოფიცერი მუშაობს. საზოგადოებაზე ორიენტირებული საპოლიციო კონცეფციის სრულყოფილად ასამუშავებლად იგეგმება მათი რაოდენობის ეტაპობრივად გაზრდა და ყველა დიდი ქალაქის დაფარვა.

  ქ. თბილისის შემდეგ, ქ. რუსთავი გახდა პირველი ქალაქი, სადაც გამოცხადდა კონკურსი და შეირჩნენ მართლწესრიგის ოფიცრები.

  სამინისტრომ, აღნიშნული სიახლის შესახებ განცხადება გაავრცელა ოფიციალურ ვებგვერდზე და ბანერი განათავსა სამინისტროს ოფიციალურ „Facebook“-გვერდზე.

<u>საგზაო მოძრაობის უსაფრთხოება</u>

- სამინისტრომ პრაქტიკაში გამოვლენილი გამოწვევების გათვალისწინებით, „საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსში ცვლილების შეტანის შესახებ“ და „საგზაო მოძრაობის შესახებ საქართველოს კანონში ცვლილების შეტანის თაობაზე“ კანონპროექტები შეიმუშავა,

რომლებიც ხელს შეუწყობს საგზაო მოძრაობის უსაფრთხოების ხარისხის გაუმჯობესებას.

კანონპროექტის თანახმად, საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსში განსაზღვრული ცვლილებებით დასჯადი ხდებოდა ე.წ. დრიფტი, რაც გულისხმობს ავტომობილის განზრახ მოცურებას, მოსრიალებას ან/და მოცურებით წრიული ბრუნვის განხორციელებას. ასევე, ჩამოწერის შედეგად, აღრიცხვიდან მოხსნილი სატრანსპორტო საშუალების მართვა და სხვა მნიშვნელოვანი ცვლილებები. ცვლილება შევიდა აგრეთვე „საგზაო მოძრაობის შესახებ“ საქართველოს კანონში. რიგი სამართალდარღვევებისთვის გათვალისწინებულია მართვის მოწმობისთვის მინიჭებულ ქულათა რაოდენობის შემცირება.

„საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსში ცვლილების შეტანის შესახებ“ და „საგზაო მოძრაობის შესახებ საქართველოს კანონში ცვლილების შეტანის თაობაზე“ სამინისტროს მიერ მომზადებული კანონპროექტები დამტკიცდა საქართველოს პარლამენტის მიერ. სიახლეების შესახებ ინფორმაციები განთავსდა სამინისტროს ოფიციალურ წყაროებზე.

- 2022 წლის 28 ნოემბრიდან, „B“ და „BE“ კატეგორიების სატრანსპორტო საშუალების მართვის უფლების მიღების მსურველებისათვის პრაქტიკული გამოცდის რეალური საგზაო მოძრაობის პირობებში ჩაბარება სამინისტროს სსიპ - მომსახურების სააგენტოს ზუგდიდის სამსახურშიც გახდა შესაძლებელი, ვინაიდან ზუგდიდში უკვე დასრულდა გზებზე მიმდინარე შესაბამისი მასშტაბური სარეაბილიტაციო სამუშაოები. აღნიშნული ინფორმაცია გავრცელდა სამინისტროს „Facebook“-გვერდზე და ოფიციალურ ვებგვერდზე.

- სამინისტროს სსიპ - მომსახურების სააგენტოს დირექტორის მოადგილემ სხვადასხვა გადაცემაში მიიღო მონაწილეობა, სადაც მოქალაქეებს კიდევ ერთხელ მიაწოდა ინფორმაცია რეალური საგზაო მოძრაობის პირობებში გამოცდის ჩაბარების შესახებ. ასევე, იმ ცვლილებების შესახებ, რომლებიც 2023 წლის 1 სექტემბრიდან იგეგმება. (2023 წლის 1 სექტემბრიდან სატრანსპორტო საშუალების ტექნიკური გამართულობის შემოწმება სავალდებულო გახდება).

- 2022 წლის 22 დეკემბერს საზოგადოებრივი მაუწყებლის გადაცემაში „ახალი დღე“, სამინისტროს საპატრულო პოლიციის წარმომადგენლებმა ისაუბრეს საგზაო უსაფრთხოებაზე და მოუწოდეს საზოგადოებას წესრიგის დაცვისაკენ, მძიმე შედეგების თავიდან არიდების მიზნით.

<u>კამპანია - „ემეგობრე პოლიციას“</u>

- სამინისტროს მხრიდან მოსახლეობასთან მჭიდრო კომუნიკაციის გაღრმავებისთვის, საშემოდგომო სეზონზე, სამინისტროს კამპანიის ფარგლებში, საქართველოს 9 დიდ ქალაქში 12 სახალხო ღონისძიება ჩატარდა, სახელწოდებით - ,,ემეგობრე პოლიციას“.

  ღონისძიებები დაიწყო ქ. ბათუმიდან და მთელი საქართველოს მასშტაბით გაგრძელდა. სახალხო ღონისძიებაზე მოზარდებსა და ყველა დაინტერესებულ მოქალაქეს საშუალება ჰქონდათ, გასცნობოდნენ სამინისტროს სხვადასხვა დანაყოფის საქმიანობას. ასევე, დაეთვალიერებინათ საპატრულო პოლიციის, სამინისტროს სსიპ - საზოგადოებრივი უსაფრთხოების მართვის ცენტრის „112“, სამინისტროს სსიპ - მომსახურების სააგენტოს, საექსპერტო-კრიმინალისტიკური დეპარტამენტის, სასაზღვრო პოლიციის, სამინისტროს სსდ - საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახურის, სამინისტროს სსიპ - დაცვის პოლიციისა და განსაკუთრებულ დავალებათა დეპარტამენტის სპეცტექნიკა და აღჭურვილობა. ღონისძიებაზე მოსულმა ბავშვებმა, სამინისტროს წარმომადგენლებთან ერთად, მონაწილეობა მიიღეს სხვადასხვა შემეცნებით და გასართობ აქტივობაში.

  აღნიშნული ღონისძიებები გაშუქდა სოციალურ ქსელში, სამინისტროს ოფიციალური გვერდის, სააგენტოებისა და სატელევიზიო არხების საშუალებით, მათ შორის პირდაპირ ეთერებში.

  სახალხო ღონისძიებების პარალელურად, პროექტი მოიცავდა სამინისტროს დანაყოფების, კერძოდ, საპატრულო პოლიციის დეპარტამენტის, ადამიანის უფლებათა დაცვისა და გამოძიების ხარისხის მონიტორინგის დეპარტამენტის, სსდ - საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახურის, სსიპ - მომსახურების სააგენტოს, სსიპ - საზოგადოებრივი უსაფრთხოების მართვის ცენტრის "112" და ტერიტორიული ორგანოების წარმომადგენლების ვიზიტებს სკოლებში.

შეხვედრების მიზანს წარმოადგენდა ბავშვებსა და მოზარდებში საზოგადოებრივი უსაფრთხოებისა და მართლწესრიგის შესახებ ცნობიერების ამაღლება.

ამ კამპანიის ფარგლებში, საინფორმაციო-შემეცნებითი შეხვედრები გაიმართა 50-მდე სკოლაში 3500 მოსწავლესთან.

აღნიშნულ კამპანიასთან დაკავშირებით, სამინისტროს წარმომადგენლებმა 10-მდე საინფორმაციო სიუჟეტსა და ტელე-რადიო გადაცემაში მიიღეს მონაწილეობა და კამპანიის მნიშვნელობაზე ისაუბრეს.

კამპანიის "ემეგობრე პოლიციას" ფარგლებში, სკოლებში ვიზიტების გარდა, სამინისტროს სსიპ - საზოგადოებრივი უსაფრთხოების მართვის ცენტრს “112” ეწვია 30 სკოლის მოსწავლე (ჯამში 800-მდე ბავშვი). მოზარდებმა „112“-ის თბილისის ცენტრი დაათვალიერეს და გადაუდებელი დახმარების ნომრის სწორად გამოყენებისა და საგზაო მოძრაობის უსაფრთხოების წესებს გაეცნენ. „112“-ის წარმომადგენელმა მოზარდებს ინფორმაცია მიაწოდეს ისეთ საკითხებზე, როგორიც არის თუ რას ნიშნავს გადაუდებელი შემთხვევა, რა ნომერზე უნდა დარეკონ ასეთი შემთხვევების დროს და როგორ უნდა ითანამშრომლონ ოპერატორთან. მოსწავლეებს ასევე, განემარტათ არამიზნობრივი ზარის განხორციელების საფრთხეები და ის სანქციები, რაც ცრუ ზარის დროს კანონით არის გათვალისწინებული.

სამინისტროს სსდ - საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახურის წარმომადგენლებმა საინფორმაციო ვიზიტები განახორციელეს სხვადასხვა სკოლებსა და ბაღებში, როგორც ქ. თბილისის, ასევე, რეგიონების მასშტაბით. სამსახურის წარმომადგენლებმა სკოლის თანამშრომლებსა და მოსწავლეებს მიაწოდეს ინფორმაცია საგანგებო სიტუაციების ტიპების, მათი პრევენციის, ევაკუაციის პროცედურებისა და სახანძრო-სამაშველო ძალების საქმიანობის შესახებ.

შეხვედრების მიზანი იყო სკოლის საგანგებო მართვის გეგმის გამოცდა, საგანგებო სიტუაციების დროს ქცევის წესების მიმართულებით მოსწავლეებისა და მასწავლებლების ცნობიერების ამაღლება.

აღნიშნული ვიზიტების შესახებ ინფორმაცია განთავსდა სოციალურ ქსელსა და ოფიციალურ ვებგვერდზე.

<u>სამინისტროს სსიპ - საზოგადოებრივი უსაფრთხოების მართვის ცენტრი „112“</u>

- 2022 წლის 5 ოქტომბერს, სამინისტროს სსიპ - საზოგადოებრივი უსაფრთხოების მართვის ცენტრის „112“ დირექტორმა და გაეროს მოსახლეობის ფონდის (UNFPA) წარმომადგენელმა თურქეთში, საქართველოსა და აზერბაიჯანის ოფისის დირექტორმა ურთიერთგაგების მემორანდუმს მოაწერეს ხელი.

  მემორანდუმის გაფორმების მიზანს წარმოადგენს გაეროს მოსახლეობის ფონდსა (UNFPA) და სამინისტროს სსიპ - საზოგადოებრივი უსაფრთხოების მართვის ცენტრს „112“ შორის თანამშრომლობის გაღრმავება. კერძოდ, თანამშრომლობის ფარგლებში, „112“-ის აპლიკაციის გამოყენებით იგეგმება სამიზნე აუდიტორიისთვის ინფორმაციის მიწოდება ადრეული ბავშვობის ასაკში ქორწინების პრევენციის ზომებისა და არსებული სერვისების შესახებ. ასევე, შესაბამისი კამპანიის განხორციელება.

  აღნიშნული ინფორმაცია განთავსდა სამინისტროს სსიპ - საზოგადოებრივი უსაფრთხოების მართვის ცენტრი „112“-ის ოფიციალურ „Facebook“-ის გვერდსა და ვებგვერდზე, ვიდეომასალა განთავსდა „youtube“ არხზე.

- 2022 წლის 10 ოქტომბერს, სამინისტროს სსიპ - საზოგადოებრივი უსაფრთხოების მართვის ცენტრის „112“ ანალიზისა და პროექტების მართვის სამსახურის უფროსმა მოსახლეობას გადაცემა „იმედის დღის“ ეთერიდან „112“-ის მუშაობის სპეციფიკის შესახებ ინფორმაცია მიაწოდა. კერძოდ, ისაუბრა, თუ როგორ გადაეცემა საგანგებო სამსახურებს ინფორმაცია მას შემდეგ, რაც ოპერატორი მოქალაქისგან შემთხვევის ადგილის შესახებ მიიღებს ინფორმაციას. ეს ინფორმაცია პარალელურად პროგრამულად გადაეცემა შესაბამის საგანგებო სამსახურებს, რომლებიც დაუყოვნებლივ მიემართებიან შემთხვევის ადგილზე, ხოლო დამატებითი კითხვები, რომლებსაც ოპერატორი ზარის ინიციატორს უსვამს, საჭიროა იმისთვის, რომ შემთხვევის შესახებ სრული და ზუსტი ინფორმაცია მიაწოდოს იმ სამსახურებს, რომლებიც მოქალაქეების დასახმარებლად მიემართებიან.

აღნიშნული გადაცემის ჩანაწერი განთავსდა სამინისტროს სსიპ - საზოგადოებრივი უსაფრთხოების მართვის ცენტრის „112“ ოფიციალურ ვებგვერდსა და ოფიციალურ „youtube“ არხზე.

- 2022 წლის 29 ოქტომბერს, სამინისტროს სსიპ - საზოგადოებრივი უსაფრთხოების მართვის ცენტრის „112“ დირექტორის მოადგილემ საქართველოს თავდაცვის სამინისტროს სსიპ - დავით აღმაშენებლის სახელობის საქართველოს ეროვნული თავდაცვის აკადემიის საკანდიდატო კურსის 60-მდე მსმენელს უმასპინძლა.

  სტუმრები ადგილზე გაეცნენ „112“-ის მუშაობის სპეციფიკას, ასევე, ქვეყნის მასშტაბით ერთიანი ვიდეოსამეთვალყურეო სისტემის მართვისა და საგზაო მოძრაობის უსაფრთხოების კუთხით განხორციელებული მნიშვნელოვანი პროექტების შესახებ მიიღეს ინფორმაცია.

  აღნიშნული ინფორმაცია განთავსდა სამინისტროს სსიპ - საზოგადოებრივი უსაფრთხოების მართვის ცენტრის „112“ ოფიციალურ „Facebook“ გვერდსა და ოფიციალურ ვებგვერდზე.

<u>სამინისტროს სსდ - საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახური</u>

- 2022 წელს 2 ოქტომბერს, სამინისტროს სსდ - საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახურისა და ამავე სამსახურის სსიპ - სახელმწიფო რეზერვებისა და სამოქალაქო უსაფრთხოების სერვისების სააგენტოს თანამშრომლებმა, საგანგებო სიტუაციებში ქცევის წესების, აგრეთვე, საგანგებო სიტუაციების მართვის ორგანიზების სწავლების პროგრამის ფარგლებში, კომპანიის „ჰაიდელბერგცემენტი“ კასპის ცემენტის ქარხნის თანამშრომლებისთვის ჩაატარეს ტრენინგები.

  სწავლების დროს, კომპანიის „ჰაიდელბერგცემენტი“ თანამშრომლებმა ინფორმაცია მიიღეს საგანგებო შტაბის შექმნის, მისი შემადგენლობისა და საგანგებო სიტუაციის დროს ობიექტზე ფუნქციონირების შესახებ.

შეხვედრაზე ყურადღება გამახვილდა საგანგებო სიტუაციების დროს საჭირო ქცევასა და მოქმედების პრინციპებზე. ღონისძიების მონაწილეებს განემარტათ საგანგებო სიტუაციის შეტყობინების სისტემისა და ევაკუაციის განხორციელების მექანიზმები. ასევე, ყურადღება იქნა გამახვილებული სახანძრო უსაფრთხოების დაცვის, საგანგებო სიტუაციების დროს პირველადი სამედიცინო დახმარების აღმოჩენის, სახანძრო-სამაშველო აღჭურვილობის, ცეცხლმაქრისა და სასუნთქი აპარატის გამოყენების წესებზე.

ტრენინგი სამინისტროს სსდ - საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახურის სსიპ - სახელმწიფო რეზერვებისა და სამოქალაქო უსაფრთხოების სერვისების სააგენტოს ორგანიზებით ჩატარდა. სწავლების დასრულების შემდეგ, კომპანიის „ჰაიდელბერგცემენტი“ თანამშრომლებს გადაეცათ შესაბამისი სერტიფიკატები.

აღნიშნული ინფორმაცია განთავსდა ოფიციალურ „Facebook“- გვერდზე.

- 2022 წლის 13 ოქტომბერს, სამინისტროს საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახურის თანამშრომლებმა ჩაატარეს სწავლება თელავში. ღონისძიება გაიმართა ფართომასშტაბიანი პროგრამის ფარგლებში, გაეროს განვითარების პროგრამისა (UNDP) და შვეიცარიის განვითარებისა და თანამშრომლობის სააგენტოს (SDC) მხარდაჭერით. აღნიშნული ღონისძიება ემსახურება კლიმატის ცვლილებებით გამოწვეული კატასტროფებისგან დაცვას და ხორციელდება კლიმატის მწვანე ფონდის (GCF) და საქართველოს, შვეიცარიისა და შვედეთის მხარდაჭერით.

ტრენინგში მონაწილეობა მიიღეს სამინისტროს სსდ - საგანგებო სიტუაციების მართვის სააგენტოს კახეთის საგანგებო სიტუაციების მართვის მთავარი სამმართველოს თანამშრომლებმა, თელავის მუნიციპალიტეტის მერიის ხელმძღვანელებმა და სამსახურების უფროსებმა. ასევე, სამინისტროს კახეთის პოლიციის დეპარტამენტის თელავის რაიონული სამმართველოს, საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს ა(ა)იპ სოფლის განვითარების სააგენტოს კახეთის რეგიონული სამმართველოს სოფლის განვითარების სააგენტოს კახეთის რეგიონული სამსახურისა და სსიპ სურსათის ეროვნული სააგენტოს კახეთის რეგიონული სამმართველოს წარმომადგენლებმა.

ტრენინგი მიზნად ისახავდა ადგილობრივი მუნიციპალიტეტების ხელმძღვანელი პირების მომზადებას. აღნიშნული პროგრამის ფარგლებში, მსგავსი სწავლებები ჩატარდა ახმეტაში, გორში, ლაგოდეხსა და სიღნაღში.

ინფორმაცია განთავსდა ოფიციალურ „Facebook“ გვერდზე.

- სამინისტროს საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახურის თანამშრომლებმა, სამოქალაქო უსაფრთხოების შესახებ მოზარდთა ცნობიერების ამაღლების მიზნით, ქალაქ თბილისის სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე № 200 საჯარო სკოლაში თეორიული და პრაქტიკული სწავლება ჩაატარეს.

  სწავლება, პრაქტიკული ღონისძიებების დემონსტრირების გარდა, სკოლის პედაგოგებისა და ამავე, სასწავლო დაწესებულების აღსაზრდელი შეზღუდული შესაძლებლობების მქონე ბავშვებისთვის საგანგებო სიტუაციების დროს საჭირო ქცევის წესების შესახებ საინფორმაციო ბრიფინგის ჩატარებას ისახავდა მიზნად. № 200 საჯარო სკოლის პედაგოგები და აღსაზრდელები სიმულაციურ სწავლებასაც დაესწრნენ, სადაც მეხანძრე-მაშველებმა რეალობასთან მაქსიმალურად მიახლოებულ გარემოში განახორციელეს ურბანულ ხანძარზე რეაგირების დემონსტრირება, დაშავებულის შენობიდან ევაკუირება და სხვადასხვა სამაშველო სავარჯიშო.

  ინფორმაცია განთავსდა ოფიციალურ „Facebook“ გვერდზე.

- 2022 წლის 30 ოქტომბერს, სამინისტროს სსდ - საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახურს ეროვნული თავდაცვის აკადემიის საკანდიდატო კურსის 60-მდე მსმენელი ეწვია. სამინისტროს სსდ - საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახურის თანამშრომლებმა მომავალი ოფიცრებისთვის საჩვენებელი სწავლება ჩაატარეს და სტუმრებს თავიანთი საქმიანობის შესახებ დეტალური ინფორმაცია მიაწოდეს.

  ღონისძიების ფარგლებში, საჩვენებელი სწავლება რამდენიმე კუთხით განხორციელდა. განსაკუთრებულ სიტუაციებზე რეაგირების მთავარი სამმართველოს ბაზაზე წარმოდგენილი იყო სიმულაციები როგორც ქიმიურ, ბიოლოგიურ, რადიაციულ და ბირთვულ ინციდენტებზე რეაგირების, ასევე,

სამთო-სამაშველო, ურბანული და ავტომანქანის ხანძრის ქრობის მიმართულებებით.

აღნიშნული ინფორმაცია განთავსდა ოფიციალურ „Facebook“ გვერდზე.

- სამინისტროს სსდ - საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახურის თანამშრომლებმა სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე თბილისის № 203-ე საჯარო სკოლაში, მზადყოფნისა და ცნობიერების ამაღლების მიზნით, სამოქალაქო უსაფრთხოების შესახებ სწავლება ჩაატარეს.

  სამოქალაქო უსაფრთხოების დეპარტამენტის წარმომადგენლებმა სწავლების თეორიულ ნაწილში სკოლის პედაგოგებსა და მოსწავლეებს საგანგებო სიტუაციების დროს ქცევის საჭირო წესები გააცნეს. პრაქტიკული ნაწილი კი, მეხანძრე-მაშველებმა სიმულაციური სწავლებით განახორციელეს.

  ინფორმაცია განთავსდა ოფიციალურ „Facebook“ გვერდზე.

<u>ადამიანის უფლებები</u>

- 2022 წლის 21 ოქტომბერს, სამინისტროს ადამიანის უფლებათა დაცვისა და გამოძიების ხარისხის მონიტორინგის დეპარტამენტის თანამშრომლებმა, ქ. რუსთავის № 21 საჯარო სკოლის დირექტორის მოწვევით, ამავე სკოლის მე-10 კლასის მოსწავლეებთან შეხვედრა გამართეს. შეხვედრის ფარგლებში მოსწავლეებს ინფორმაცია მიეწოდათ ბავშვთა უფლებებისა და ოჯახში ძალადობის შესახებ. ასევე, სიძულვილით მოტივირებულ დანაშაულებთან და საპოლიციო მექანიზმებთან დაკავშირებით. ამასთანავე, განხილულ იქნა არასრულწლოვანთა მიმართ ონლაინსივრცეში ჩადენილი დანაშაულები, პრევენციისა და კიბერუსაფრთხოების საკითხები.

- 2022 წლის 21 ოქტომბერს, სამინისტროს ადამიანის უფლებათა დაცვისა და გამოძიების ხარისხის მონიტორინგის დეპარტამენტის თანამშრომლებმა შეხვედრა გამართეს ქ. რუსთავის № 17 საჯარო სკოლის მე-9 კლასის მოსწავლეებთან. ღონისძიებაზე საუბრის თემა იყო არასრულწლოვანის მიერ და

მიმართ ჩადენილი დანაშაულები და ადმინისტრაციული სამართალდარღვევები, ქალთა მიმართ და ოჯახში ძალადობა, დისკრიმინაცია. შეხვედრის მიზანს წარმოადგენდა არასრულწლოვანთა ცნობიერების ამაღლება (მონაწილეობდა 30 მოსწავლე);

- 2022 წლის 15-22 ნოემბერს, თანასწორობის კვირეულის ფარგლებში, სამინისტრო შეუერთდა ევროპის საბჭოს (CoE) პროექტს - „თანასწორობის დაცვისა და დისკრიმინაციის დაუშვებლობის ეფექტური მექანიზმების ხელშეწყობა საქართველოში“. სამინისტროს ადამიანის უფლებათა დაცვისა და გამოძიების ხარისხის მონიტორინგის დეპარტამენტის თანამშრომლებმა, „თანასწორობის კვირეულის“ კამპანიის ფარგლებში, ადგილობრივი საპოლიციო დანაყოფების წარმომადგენლებთან ერთად, გამართეს საინფორმაციო ხასიათის შეხვედრები ქ. თბილისის, კასპის, დუშეთის, წალკის, მცხეთისა და გორის მუნიციპალიტეტების სკოლების მოსწავლეებთან და მასწავლებლებთან. აგრეთვე, შეხვედრები გაიმართა მუნიციპალიტეტის, გენდერული საბჭოების თანამშრომლებთან, სოციალურ მუშაკებთან, სკოლის დირექტორებსა და მასწავლებლებთან.

- საინფორმაციო შეხვედრა გაიმართა საქართველოს იუსტიციის სამინისტროს დანაშაულის პრევენციის, არასაპატიმრო სასჯელთა აღსრულებისა და პრობაციის ეროვნული სააგენტოს არასრულწლოვანთა რეფერირების ცენტრის ბენეფიციარებთან.

  შეხვედრებზე დეპარტამენტის წარმომადგენლებმა ინტერაქციულ რეჟიმში ისაუბრეს ისეთ მნიშვნელოვან საკითხებზე, როგორიცაა: ადამიანის უფლებები, სამართლიანობისა და თანასწორობის არსი, მიმღებლობის მნიშვნელობა, დისკრიმინაციის და ჩაგვრის (ე.წ. ბულინგი) დაუშვებლობა, სიძულვილის ენა, დისკრიმინაციული ნიშნით შეუწყნარებლობის მოტივით ჩადენილი დანაშაულები, არასრულწლოვანთა მიმართ ონლაინ სივრცეში ჩადენილი კანონსაწინააღმდეგო ქმედებები და მათი პრევენციის გზები.

ქალთა მიმართ ძალადობის წინააღმდეგ 16-დღიან გლობალური კამპანია

- 2022 წელს სამინისტრო, ქალთა მიმართ ძალადობის წინააღმდეგ 16-დღიან გლობალურ კამპანიას შეუერთდა და საინფორმაციო ღონისძიებები დაიწყო სლოგანით - "არა ქალზე ძალადობას!". კამპანიის ფარგლებში განხორციელდა არაერთი ღონისძიება, მათ შორის:

საინფორმაციო შეხვედრები ქ. თბილისსა და რეგიონებში სხვადასხვა სამიზნე ჯგუფთან; შეხვედრა არასამთავრობო ორგანიზაციებთან, სადაც მოხდა სხვადასხვა რელევანტური თემის განხილვა, სამუშაო შეხვედრა მედიასთან, რომლის მიზანია მედიასაშუალებების წარმომადგენლებს, ადგილობრივი და საერთაშორისო პრაქტიკის ანალიზის საფუძველზე, ძალადობის შემთხვევების ეთიკური გაშუქების შესახებ მიეწოდოთ ინფორმაცია.

- სამინისტროს ადამიანის უფლებათა დაცვისა და გამოძიების ხარისხის მონიტორინგის დეპარტამენტის თანამშრომლებმა, საპოლიციო დანაყოფების ადგილობრივ წარმომადგენლებთან ერთად საინფორმაციო ხასიათის შეხვედრები გამართეს სამტრედიის, ხონის, თეთრიწყაროს, ადიგენის, ბოლნისის, ყვარლის, ქარელის მუნიციპალიტეტებსა და თბილისის მუნიციპალიტეტის კრწანისის რაიონში. დეპარტამენტის თანამშრომლებმა, მუნიციპალიტეტების გენდერული თანასწორობის საბჭოებთან კოორდინაციით, ადგილობრივი თვითმმართველობის წევრებს, საგანმანათლებლო დაწესებულებების წარმომადგენლებსა და სხვა დაინტერესებულ პირებს მიაწოდეს ინფორმაცია ქალთა მიმართ ძალადობის წინააღმდეგ სამინისტროს მიდგომებზე, უწყებაში ამ კუთხით მოქმედ სამართლებრივ მექანიზმებზე, მოწმისა და დაზარალებულის კოორდინატორის სამსახურის ფუნქციებზე, წლების მანძილზე სამინისტროს მიერ მიღწეულ შედეგებსა და არსებულ გამოწვევებზე.

ამავე კამპანიის ფარგლებში, სამინისტროს ადამიანის უფლებათა დაცვისა და გამოძიების ხარისხის მონიტორინგის დეპარტამენტის თანამშრომლებმა საინფორმაციო ხასიათის შეხვედრები გამართეს ხონის, სამტრედიის, თეთრიწყაროს, ადიგენის, ბოლნისის, ყვარლის, ქარელისა და თბილისის საპოლიციო დანაყოფების ადგილობრივ წარმომადგენლებთან. შეხვედრაზე ინტერაქციულ რეჟიმში განხილულ იქნა ოჯახში და ქალთა მიმართ ძალადობის წინააღმდეგ სამინისტროს მიდგომები, სამართლებრივი მექანიზმები, ამ კუთხით დაგეგმილი სამომავლო ცვლილებები, არსებული გამოწვევები და ძალადობასთან ბრძოლის პრაქტიკული ასპექტები. ასევე, ძალადობის წინააღმდეგ ბრძოლის თვალსაზრისით საზოგადოების ჩართულობისა და გენდერულად მგრძნობიარე მიდგომების მნიშვნელობა. შეხვედრას პოლიციის 150-მდე თანამშრომელი ესწრებოდა.

კვირეულის ფარგლებში, შეხვედრები გაიმართა სკოლის მოსწავლეებთან და სტუდენტებთან. დეპარტამენტის წარმომადგენლებმა შეხვედრაზე დამსწრე პირებს ინფორმაცია მიაწოდეს ქალთა მიმართ და ოჯახში ძალადობის წინააღმდეგ მოქმედი სამართლებრივი ინსტრუმენტების შესახებ, ასევე, გააცნეს დეპარტამენტის ფუნქციები და საქმიანობის სპეციფიკა. საუბრისას ყურადღება იქნა გამახვილებული ქალთა მიმართ ძალადობის სხვადასხვა ფორმაზე, მათ შორის, ქალთა მიმართ გენდერის ნიშნით შეუწყნარებლობის მოტივით ჩადენილ დანაშაულებზე. შეხვედრები კითხვა-პასუხის რეჟიმში წარიმართა და 200-მდე სკოლის მოსწავლე და სტუდენტი დაესწრო.

- მოსახლეობის მასობრივი ინფორმირების მიზნით, გაგზავნილ იქნა მოკლე ტექსტური შეტყობინებები. შეტყობინება 2 600 000 -მა აბონენტმა მიიღო და მათ ინფორმაცია მიეწოდათ ქალთა მიმართ ან/და ოჯახში ძალადობის დასჯადობისა და ძალადობის შემთხვევაში პოლიციისათვის მიმართვის გზებზე. შეტყობინებაში ინტეგრირებულ იქნა ადამიანის უფლებათა დაცვისა და გამოძიების ხარისხის მონიტორინგის სოციალური ქსელ - „Facebook“ გვერდისა და სამინისტროს სსიპ - საზოგადოებრივი უსაფრთხოების მართვის ცენტრის „112“ მობილური აპლიკაციის გადმოწერის ბმულები.

  აღნიშნული კამპანიების შესახებ ინფორმაცია განთავსდა სამინისტროს ოფიციალურ ვებგვერდსა და „Facebook“ გვერდზე.